


ვ. კუციას ნახატი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 1 (7062)

1 1982წ. იანვარი. პარასკევი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!

რამდენიმე წუთის შემდეგ კრემლის კურანტები დაიწყებენ ახალი, 1982 წლის თვლას. თითოეული საბჭოთა ადამიანი ახლა გონების თვალს ავლებს განვლილ წელს და იმედით შეჰყურებს მომავალს. 1981 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ ეს იყო პარტიის XXVI ყრილობის წელი, რომელმაც საბჭოთა ხალხს გადაუშალა ახალი ისტორიული პერსპექტივები, იყო დიდი შემოქმედებითი მუშაობის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის დაძაბული ბრძოლის წელი. ყრილობის გადაწყვეტილებებმა საყოველთაო-სახალხო მოწონება დაიმსახურეს და წარმატებით ხორციელდება.

მიმავალი წელი ადვილი და უბრალო როდი იყო: არ გვანებივრებდა ამინდი, გვაშფოთებდა საერთაშორისო მდგომარეობის განვითარება. მით უმეტეს სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ქვეყანამ გულდაჯერებით წაიწია წინ კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით.

გეგმაზომიერად ისხამს ხორცს ფართო სოციალური პროგრამა. მილიონობით ადამიანმა იდღესასწაულა ახალმოსახლეობა, იზრდება სახელმწიფო დახმარება ბავშვებიანი ოჯახებისადმი, მომუშავე დედებისა და ახალდაქორწინებულებისადმი, უმჯობესდება საპენსიო უზრუნველყოფა, მატულობს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, ფართოვდება მომსახურების სფერო.

დამკვრელური, მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს გვიჩვენებს მეტალურგთა და მეშახტეთა, მენავთობეთა და ენერგეტიკოსთა, მანქანათმშენებელთა და ქიმიკოსთა, ფეიქართა და კვების მუშაკთა, მშენებელთა და ტრანსპორტის მუშაკთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი კოლექტივი. ახალი მიღწევებით გაგვახარეს მეცნიერებმა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის მუშაკებმა, საბჭოთა სპორტსმენებმა.

პატივი და დიდება წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს! გულითადი მადლობა ყველას, ვინც ამრავლებს მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს, განამტკიცებს სამშობლოს ძლიერებას, საიმედოდ იცავს მის საზღვრებს.

ეჭვი არ არის, რომ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი, მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმები შესრულდება. ამის საწინდარია ის, რომ მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მაღალია საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი შემართება, იგი მჭიდროდ არის დარაზმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო. პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და ძმობა საბჭოთა საზოგადოების უძლეველი ძალის წყარო, კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა საწინდარია.

ძვირფასო ამხანაგებო!

ორი მიზანი იყო და არის ჩვენთვის უმაღლესი: კომუნისტური აღმშენებლობა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება. ეს მიზნები განუყრელია. პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი ცხოვრება, თანამიმდევრულად ახორციელებენ ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას, საკადრის პასუხს სცემენ რეაქციული ძალების ხრიკებს, ახორციელებენ ენერგიულ ღონისძიებებს გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, განიარაღებისათვის. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ არა არის რა იმაზე უფრო კეთილშობილური და ჰუმანური ამოცანა, ვიდრე კაცობრიობას თავიდან ააცილოს თერმობირთვული კატასტროფის საფრთხე.

ამ ახალი წლის ღამეს მხურვალედ ვულოცავთ, მშვიდობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ ჩვენს საზღვარგარეთელ ამხანაგებსა და მეგობრებს, სოციალისტური ქვეყნების მშრომელებს, პლანეტის ყველა ადამიანს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების — კაცობრიობის მატერიალური და სულიერი ძალების ამ უგუნური და საშიში მფლანგველობის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის.

ახალი წელი უკვე ათი საათია შემობრძანდა ჩვენს თვალუწვდენელ მიწა-წყალზე. ამ წუთებში განსაკუთრებით ღრმად გრძნობს ადამიანი, თუ რა დიდი, მძლავრი და შესანიშნავია ჩვენი საყვარელი სამშობლო: გაქანებით, ადამიანებით, მიღწევებით.

ქვეყანა ოპტიმიზმით, შემოქმედებითი ძალებითა და ენერგიით აღსავსე იწყებს 1982 წელს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა ადამიანები საიუბილეო წელს აღნიშნავენ გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებული შესრულებით, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომი ამაღლებით, გამოიჩენენ მაღალ ორგანიზებულობას, გერგილიანობას, დისციპლინას, ძალღონის სრული დაძაბვით შრომის უნარს.

გულითადი საახალწლო მილოცვა გმირ მუშათა კლასს, სახელოვან კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას.

საახალწლო სალამი პარტიის, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებს, საბჭოთა ქალებს, ახალგაზრდობას, არმიისა და ფლოტის მამაც მეომრებს.

წარმატებებს გულწრფელად ვუსურვებთ ყველას, ვინც საახალწლო ღამეს შრომით პოსტზე, საბრძოლო ვახტზე დგას, მუშაობს სამშობლოსაგან შორს.

ჯანმრთელობას, სახელოვან მიღწევებს გისურვებთ შრომაში, სწავლაში, შემოქმედებაში, ძვირფასო მეგობრებო! დაე თითოეულ საბჭოთა ოჯახში სიხარულის ნათელი და დღესასწაული სუფევდეს!

დაე დედამიწას მშვიდობიანი ზეცა დანათოდეს!

ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო!

ახალ ბედნიერებას ვისურვებთ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## კვლავ გამარჯვება, ახალო წელო!

აჰა, ვაცილებთ
წელიწადს დიადს,
გამარჯვების მზეს რომ გვაზიარა,
სიკეთედ მოჰყვა
ქვეყნის განთიადს
და ფინიშამდეც ჩვენთან იარა!..

ახლა ვიხსენებთ მაისის ღამეს;
რა სიხარულით იყო ავსილი, —
თბილისზე იდგა გულსავსე
მთვარე
და წკრიალებდა ვერცხლის
თასივით!..

მოგუგუნებდა მთლად
საქართველო,
ცაც სულ სხვა ფერით
იყო ნაფერი,
სასიხარულოდ და სახანთელოდ,
როს ცად აფრინდნენ
ჩვენი მართვენი!

ის ვერცხლის თასი არის
მშვენება,
ქართველი კაცის გამრჯე
მარჯვენის,
ამირანის და თამარის მოდგმის
აგრიგალების და გამარჯვების!

დარჩეს ეს წელი, ვით გახსენება
ღელვა და განცდა
ოთხმოცდაერთის...
ოქროს ვარსკვლავი ცას რომ
შეეხსნა, —
დღეს საქართველო ატარებს
მკერდით!

დღეს გადღეგრძელებთ,
ახალო წელო!
არ მოგეშალოს ამ მზის
სიმდიდრე;
მარად სიკეთის სინათლით
გევლოს —
კვლავ გამარჯვების დღე
დაგვიმკვიდრე.

დიდება შენდა,
შენს მობრძანებას!
ნათელ დღეების ახლად ავსებას
ახალ თაობის გამობრძმედებას —
ახალ ვარსკვლავთან
გაბაასებას.

არ მოგეშალოს
დაფნის გვირგვინი
მზეჭაბუკების
მუხლმკლავმაგრობა,
მთებში ირმების ლაღი ყვირილი
ლილოჭრილოზე ფერთა
ვარდობა,

მრავალჟამიერ „მორჩო
კეთილო".
ჩვენო სტუმარო და
მასპინძელო.
ათას გულიდან ამოფეთქილო —
კვლავ გამარჯვება, ახალო წელო!

ოლეგ გველესიანი.



# დაგვაბედე შენ, ახალო წელო, კვლავ მრავალჯერ გაგვეტანოს ღელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მათ ასახელეს რესპუბლიკა, საბჭოთა სპორტი

1981 წელი საქართველოს სპორტსმენებისთვის ერთობ უხვმოსავლიანი იყო. აი ისინი, ვინც მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატებში, მსოფლიო და ევროპის თასების გათამაშებაში განსაკუთრებით ისახელა თავი.

მსოფლიო ჩემპიონები: კლასიკური სტილის მოჭიდავენი — ვ. ბლაგიძე (52 კგ, „დინამო", თბილისი), მ. ხალაძე (100 კგ, „დინამო", თბილისი), ძიუდოისტი — თ. ხუბულური (95 კგ, ასკ — „ბურევესტნიკი", თბილისი), მშვილდოსანი (გუნდური ჩათვლა) — ქ. ლოსაბერიძე („ბურევესტნიკი", თბილისი), სასტენდო სროლა — თ. იმნაიშვილი („ლოკომოტივი", თბილისი), ჭადრაკში — მ. ჩიბურდანიძე („დინამო", თბილისი).

მსოფლიო თასის მფლობელნი (გუნდურ ტურნირში): კლასიკური სტილის მოჭიდავენი — ზ. მაჭარაშვილი („კოლმეურნე", თბილისი) და მ. ხალაძე, სამბისტი — ი. როსტიაშვილი (48 კგ, ასკ, თბილისი) და წყალბურთელი მ. გიორგაძე („დინამო", თბილისი).

მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონები: თავისუფალ ჭიდაობაში — გ. მაკასარაშვილი (74 კგ, „ბურევესტნიკი" — ასკ, თბილისი), თ. უაზარაშვილი (48 კგ, „შრომითი რეზერვები" — „ბურევესტნიკი", რუსთავი) და მ. ხალაძე.

იუნიორთა მსოფლიო პირველობებში გაიმარჯვეს: სამბოში — ს. ტერნოვიხმა (52 კგ, „დინამო", სოხუმი), ტრეკზე ველორბოლაში — ი. კაზაკოვმა („განთიადი", თბილისი), წყალბურთში (ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში) — ზ. ახვლედიანმა („დინამო", თბილისი), ტყვიის სროლაში — კ. კოსმინინმა („განთიადი", თბილისი),

ევროპის ჩემპიონები: ძიუდოისტი დ. ბოდაველი (86 კგ, ასკ, თბილისი), მრგვალ სტენდზე სროლაში — ტ. ქლენტი („ლოკომოტივი", თბილისი, პირად და გუნდურ ჩათვლაში), თ. იმნაიშვილი (გუნდურ ჩათვლაში), კალათბურთში — ნ. დერიუგინი („დინამო", თბილისი).

ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასი მოიპოვა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა.

იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონები: ძიუდოისტი ა. კიბორძალიძე (95 კგ-ს ზევით, „დინამო", ქუთაისი), სამბოში — ს. ახვლედიანი („ბურევესტნიკი", თბილისი).

სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს: აკრობატებმა თ. ჩიქარაძემ, ს. მარტჩიანმა, მ. შილაკაძემ, მ. მნათობიშვილმა და ნ. კიკილაშვილმა (ყველა — ასკ, თბილისი), თავისუფალ ჭიდაობაში — რ. ხუტაბამ (100 კგ, „დინამო", სოხუმი), კლასიკურ ჭიდაობაში — ვ. ბლაგიძემ, მ. ხალაძემ, ცურვაში — ი. გერასიმოვამ („განთიადი", თბილისი — ქუთაისი), თანამედროვე ხუთჭიდში (გუნდურ ჩათვლაში) — ი. სამსონოვმა („ბურევესტნიკი", თბილისი), დ. გრიგორმა, ი. გრიზგალოვმა (ორივე — „დინამო", თბილისი), მშვილდოსნობაში — ქ. ლოსაბერიძემ („ბურევესტნიკი", თბილისი), მრგვალ სტენდზე გუნდურ შეჯიბრებაში — თ. იმნაიშვილმა, ტ. ქლენტმა, თ. მატონიანმა და გ. შენგელიამ (ორივე — ასკ, თბილისი), მაგიდის ჩოგბურთში (წყვილთა და შერეულ თანრიგში) — ს. სარხოიანმა („სპარტაკი", ბათუმი), ჭადრაკში — ნ. გაფრინდაშვილმა (ასკ, თბილისი) და ნ. იოსელიანმა („განთიადი", თბილისი).

---

ახალი წლის წინა დღეებში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდს დილმის სავარჯიშო ბაზაზე ვეწვიეთ და თითო შეკითხვით მივმართეთ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

## თითო შეკითხვა

### თბილისის „დინამოს" მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს

● ჩვენი გაზეთის მკითხველებს აინტერესებთ, ბოლოს და ბოლოს როდის გაიმართება მატჩი სუპერთასზე?

კახი ასათიანი: მიღწეულია შეთანხმება და მატჩი სუპერთასზე გაიმართება მიმდინარე წლის 10 მარტს გფრ-ის ქალაქ დიუსელდორფში.

● რა ცვლილებებია მოსალოდნელი გუნდში?

გივი ნოდია: რეზერვში გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელი, უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

● როგორ წარმოგიდგენიათ 2000 წელს თბილისის „დინამო", ჩვენი სტადიონი და საერთოდ ფეხბურთი?

ალექსანდრე ჩივაძე: ჩვენ მივაღწევთ გარკვეულ სიმაღლეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სიყვარულმა საზღვარი არ იცის, მე მგონი, 2000 წლისთვის უფრო სხვაგვარი იქნება დამოკიდებულება გუნდსა და გულშემატკივრებს შორის, სტადიონზე შეხვედრა უფრო ამაღელვებელი გახდება. ჩვენი სტადიონი?... ალბათ გაცილებით უფრო ლამაზი იქნება. რაც შეეხება საერთოდ ფეხბურთს, ჩემი აზრით, არ შეიცვლება თამაშის სისტემა და ტაქტიკა, დაიხვეწება ტექნიკა და ყველაფერს მაინც სისწრაფე განაპირობებს.

● რას იტყვით საბჭოთა კავშირის ნაკრების შესაძლებლობებზე ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატში?

თენგიზ სულაქველიძე: საბჭოთა ნაკრები ალბათ არასოდეს ყოფილა ასე ძლიერი. ეს გვაფიქრებინებს, რომ ნაკრები აუცილებლად მოიპოვებს ერთ-ერთ საპრიზო ადგილს.

● გულშემატკივრებს მოსწონთ თქვენი თამაში. თქვენ დუბლიორთა შეჯიბრების, ასე ვთქვათ „მცირე ჩემპიონატის" ბომბარდირიც გახდით. ვის ბაძავთ?

გრიგოლ ცავა: ცავას.

● რას იტყვით „დინამოს" სათადარიგო მეკარეებზე?

ოთარ გაბელია: კარლო მჭედლიძე, გია იმნაძე და ზაზა რუხაძე პერსპექტიული მეკარეები არიან, მათზე დიდ იმედს ამყარებს გუნდის ხელმძღვანელობა.

● გაიხსენეთ თქვენი საფეხბურთო ცხოვრების ყველაზე საინტერესო მომენტი...

ვიტალი დარასელია: ასეთი ორი იყო: პირველი, როცა 1978 წლის 27 სექტემბერს გოლი გავიტანე ნეაპოლში „ნაპოლის" გუნდის კარში (გოლის გატანიდან 15 წუთის შემდეგ თურმე ვაჟიშვილი შემძენია) და მეორე, როცა გასული წლის 13 მაისს ურთულეს ბრძოლაში დიუსელდორფში მოვიგეთ თასების მფლობელთა თასი.

● როგორ შეხვდით ცნობას საბჭოთა კავშირის ნაკრებში თქვენი მიწვევის შესახებ?

ნოდარ ხიზანიშვილი: მართალია, ჯერ კანდიდატი ვარ, მაგრამ ამ ცნობას, დიდი სიხარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით შევხვდი, პასუხისმგებლობით ჩვენი გუნდისა და გულშემატკივრების წინაშე.

● თქვენს გამოჩენას ტრიბუნები მუდამ აღფრთოვანებით ხვდებიან. როგორ განაწყობთ ეს?

რევაზ ჩელებაძე: გამოსვლისას ერთადერთ რამეზე ვფიქრობ — მინდა გოლი გავიტანო და, ცხადია, კარგად ვითამაშო.

● რას ფიქრობთ თამაშის წინ?

ამირან ანდღულაძე: ნებისმიერი ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ თამაშის დაწყებამდე ერთი სურვილი გვაქვს — მოვიგოთ მატჩი და გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები.

● უკანასკნელ ხანს ზოგიერთ ქვეყანაში ქალთა ფეხბურთი დამკვიდრდა. მეტოქე გუნდი რომ ქალებით იყოს დაკომპლექტებული, როგორ დაიცავდით კარს?

კარლო მჭედლიძე: ჩვეულებრივად, ყოველგვარი დათმობის გარეშე — გამარჯვება ნებისმიერ მეტოქესთან ერთნაირად სასიხარულოა.

ოთარ გაბელია: მე კი პენალტს მაინც გავუშვებდი...

● ახალი წლის დღეს რომ დაინიშნოს მატჩი, ვისთან ისურვებდით შეხვედრას?

ნუკრი კაკილაშვილი: ფეხბურთი ფეხბურთად, მაგრამ ახალი წლის დღეს ახლობლების და მეგობრების წრეში სუფრასთან ყოფნას ვამჯობინებ.

● რა გრძნობა გეუფლებათ, როცა ქუჩაში გცნობენ?

გია თავაძე: ...თქვენ გსიამოვნებთ კომპლიმენტები?..

● რას უსურვებდით თქვენს გულშემატკივრებს?

თამაზ კოსტავა: ახალ წელს მოაქვს ახალი გეგმები, იმედები, საზრუნავი... ჩვენს გულშემატკივრებს ვუსურვებ, რომ 1982 წელს ასრულებოდეთ ყველა მიზანი, ჩვენს გუნდს კი გაემეორებინოს შარშანდელი წარმატება და გაეხარებინოს თავისი ერთგული გულშემატკივრები.

● როგორ ხვდებით ახალ წელს?

კახი ასათიანი: სერიოზული მიზნებით, იმედებით, კარგი განწყობილებით.

ინტერვიუ ჩაიწერეს ალა ზენკომ და ნანა ჯოხარიძემ.

---

● საახალწლო ინტერვიუ

## ისევ სისხლსავსე საჭადრაკო ცხოვრება

ორგზის მსოფლიო ჩემპიონს, საერთაშორისო დიდოსტატ მაია ჩიბურდანიძეს, რომელიც ამჟამად ლიკანში ისვენებს, გუშინ ტელეფონით ვესაუბრეთ და პატარა საახალწლო ინტერვიუ ვთხოვეთ.

— ახალ წელს აქ, სანატორიუმში ვხვდები. ლიკანში ჩემი მწვრთნელი ესტონელი ოსტატი ალექსანდრე ვეინგოლდი მახლავს. ვმეცადინეობ და ძალას ვიკრებ.

● განა მატჩის შემდეგ არ დაისვენე?

— როგორ არა. ორი კვირა წყალტუბოში გავატარე. იქ ვახტანგ ქარსელაძის მემორიალს დავესწარი. ვხვდებოდი გულშემატკივრებსაც. მიწვეული ვიყავი აფხაზეთსა და ახალციხეში. თავისუფალ დროს ბევრს ვკითხულობდი.

● ვიცი, რომ ახლახან მოსკოვშიც იყავი...

— დიახ, მაინტერესებდა ახალ წელს სად, როდის და რომელ ტურნირებში შემიძლია მივიღო მონაწილეობა.

● თუ საიდუმლო არ არის, რომელ ტურნირებში გიხილავთ?

— დანამდვილებით ვიცი, რომ ახალ სპორტულ სეზონს დავიწყებ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ოსტატ ვაჟთა ჩემპიონატში მონაწილეობით. ეს ტურნირი ოდესაში 20 იანვარს დაიწყება. ახლა სწორედ ამ შეჯიბრებისთვის ვემზადები. ოქტომბერში ვითამაშებ ქალთა მე-10 საჭადრაკო ოლიმპიადაში, რომელსაც შვეიცარიის ქალაქი ლუცერნი უმასპინძლებს. საბჭოთა ნაკრები ამჯერადაც... ქართული იქნება. გუნდში მიწვეულნი ვართ ნანა ალექსანდრია, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი და მე. გარდა ამისა, მონაწილეობას მივიღებ საბჭოთა კავშირის ვაჟთა 50-ე ჩემპიონატის ერთ-ერთ ნახევარფინალში. მიწვევები მივიღე საერთაშორისო ტურნირების ორგანიზატორებისგანაც. ერთი სიტყვით, ამ წელსაც სისხლსავსე საჭადრაკო ცხოვრება მექნება.

● გილოცავთ ახალ წელს, მაია, ყოველგვარ სიკეთესა და ახალ წარმატებებს გისურვებთ!

— გმადლობთ. გთხოვთ „ლელოს" მკითხველებს, პირველ ყოვლისა, ჩვენს მოჭადრაკეებსა და პირადად ჩემს ქომაგებს გადასცეთ ჩემი საახალწლო მილოცვა და კეთილი სურვილები!

თ. გიორგაძე.




---

## დაჯილდოება

საქართველოში ფეხბურთის განვითარების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ავთანდილ ნოეს ძე ჭკუასელი დაჯილდოვდა საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით და დიდი ოქროს მედლით.

რესპუბლიკაში კალათბურთის განვითარებაში დიდი წვლილისთვის, ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში აქტიური მოღვაწეობისთვის, დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით სპორტის დამსახურებული ოსტატები, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკები ლევან გიორგის ძე ფალავანდიშვილი და არჩილ ნიკოლოზის ძე წერეთელი დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით და დიდი ოქროს მედლით.

---

## ნდის პირველი სტარტები

ჩვენი კორესპონდენტი ა. ალადაშვილი გუშინ შეხვდა უცხოეთიდან თბილისში ახლახან დაბრუნებულ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს თეიმურ ხუბულურს. გთავაზობთ მასთან საუბარს.

● საზღვარგარეთ, ალბათ, შეჯიბრებაზე იყავით, არა?

— ამჯერად ტურისტულ მოგზაურობაში ვიმყოფებოდი მეუღლესთან ერთად. მოვიარეთ ჩეხოსლოვაკია და გდრ. შთაბეჭდილებებით დატვირთულნი დავბრუნდით, მაგრამ ძალიან დავიღალეთ.

● ძნელია ჩემპიონობა?

— როდესაც ცხოვრებაში გარკვეულ წარმატებას მიაღწევ — ისეთს, რომ უკვე ქუჩაშიც გცნობენ, ცხადია, გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა გაკისრია. — იმუშაო გაცილებით მეტი ყურადღებით, დაუღალავად, მუდამ ზრუნავდე ოსტატობის სრულყოფაზე. ერთი სიტყვით, ადგილს არ ტკეპნიდე. ასე რომ, მერწმუნეთ, ჩემპიონობა არც ისე იოლი საქმე ყოფილა!

● გსურთ თუ არა, რომ თქვენი 2 წლის ვაჟიშვილი დიდ ტატამზე იხილოთ?

— როდესაც სახლში ვბრუნდები, თეიმური მუდამ ცდილობს მაჩვენოს თავისი ძალა და ვაჟკაცობა. დამეჭიდება კიდეც დაღლილს და... ხშირად „მამარცხებს". ერთი სიტყვით, მასაც უხარია და ჩვენც ძალიან ვერთობით. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი რამდენიმე წელიწადში ჭიდაობის სექციაში მივიყვანო. იქ უკვე თვითონ მიხვდება და გაიგებს თუ „ჭიდაობას რა უნდა!"

● რას აპირებთ დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ?

— დამთავრებული მაქვს გორის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტი. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მუდამ იურისტობაზე ვოცნებობდი, ამიტომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა. ვეცდები კარგი იურისტი გამოვიდე. სპორტს კი მაინც არ ვუღალატებ — ჩვენს მწვრთნელებს მხარში ამოვუდგები გამოჩენილ ქართველ ფალავანთა აღზრდის საქმეში.

● თქვენი უახლოესი გეგმები?

— მუდამ პატივს ვცემდი თბილისის საერთაშორისო ტურნირს. მინდა წლევანდელ შეჯიბრებაში გამოვიდე სპორტის სასახლის ტატამზე. დანარჩენ გეგმებზე კი ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით.

● რას უსურვებდით ახალგაზრდა ქართველ ფალავნებს?

— კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას, არსენ მეკოკიშვილისა და დავით ციმაკურიძის, ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას, რომან რურუასა და ლევან თედიაშვილის, ანზორ კიკნაძისა და შოთა ჩოჩიშვილის ძალას, მუხლს, შემართებას!..

---

● საახალწლო ინტერვიუ ● საახალწლო ინტერვიუ

## ძნელი, მაგრამ დასაძლევი...

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ფიზკულტურისა და სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის ამასწინანდელ საახალწლო საღამო-კარნავალზე გახლდათ თამაზ იმნაიშვილიც — სასტენდო სროლაში პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი, იგი საერთო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ხალისით პასუხობდა შეკითხვებზე, რაც, ვფიქრობთ, „ლელოს" მკითხველებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

● თქვენთვის ყველაზე ბედნიერი წუთი 1981 წელს?

— პირად შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვება უდავოდ დიდი ბედნიერებაა, მაგრამ მე ეს ბედნიერება, გამარჯვებით გამოწვეული სიხარული მთელი ძალით მაშინ ვიგრძენი, როცა არგენტინიდან დაბრუნებულს მეგობრებმა, სასტენდო სროლის მოყვარულებმა თბილისის აეროპორტის მიწაზე ფეხის დადგმის საშუალება არ მომცეს — ხელში ამიტაცეს და წამომიყვანეს. ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი წუთები.

● ყველაზე გულდასაწყვეტი მომენტი თქვენს სპორტულ ბიოგრაფიაში.

— მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის ბოლო სერიაში „დაკარგვა": ამ ასპარეზობის პირველიდან მერვე სერიამდე ვლიდერობდი და ბოლო, მერვე 25 გასროლაში ყველაფერი წყალში ჩამეყარა — გამარჯვებისთვის ოცდახუთივე მფრინავი სამიზნე უნდა გამეტეხა, მე კი ორი „თეფში" უვნებლად გადამირჩა და...

● თქვენი უახლოესი მთავარი მიზანი, რას უსურვებდით საქართველოს სპორტსმენებს 1982 წელს?

— საკავშირო, ევროპის, მსოფლიო პირველობებში წარმატებისთვის ზრუნვა, საკანდიდატო დისერტაციის დამთავრება და ხარისხის დაცვა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს ვუსურვებ ჯანმრთელობას, მშვიდობას და იმას, რომ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მსგავსად, ისეთივე სიხარული მიენიჭებინოთ საქართველოს მშრომელებისთვის, როგორიც დინამოელებმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვებით მოგვიტანეს.

● თქვენი ყველაზე დიდი ოცნება სპორტში?

— ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაში შევძლო ის, რაც მოსკოვის ოლიმპიადაში ვერ მოვახერხე. ძალიან ძნელი ამოცანაა, რადგან ოლიმპიადაში ყველა ქვეყნიდან მხოლოდ 2-2 მსტენდური უნდა გავიდეს, ამ ორში მოხვედრა კი დაუღალავ შრომას მოითხოვს.

მ. ზაქარეიშვილი.

---

● საახალწლო ინტერვიუ ● საახალწლო ინტერვიუ ● საახალწლო ინტერვიუ ● საახალწლო ინტერვიუ ● საახალწლო ინტერვიუ ● საახალწლო ინტერვიუ ● საახალწლო ინტერვიუ ● საახალწლო ინტერვიუ

გაზეთ „ლელოს" რედაქციაში 1981 წლის განმავლობაში მკითხველთა მრავალი წერილი მოვიდა. ისინი გვთხოვდნენ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენებისათვის მიგვეცა მათთვის საინტერესო კითხვები. მკითხველთა ამ შეკითხვებით „ლელოს" კორესპონდენტებმა მიმართეს რესპუბლიკის რამდენიმე საუკეთესო სპორტსმენს.

გთავაზობთ ამ თავისებურ კოლექტიურ ინტერვიუს.

## მკითხველის თხოვნით

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, მოსკოვის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანს, მსოფლიოს უნივერსიადის, სსრ კავშირისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვახტანგ ბლაგიძეს

1. თქვენ ხშირად ახვედით მსოფლიო ჩემპიონატის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. როდის უფრო გაგიჭირდათ ამასვლა — მეხიკოში თუ ოსლოში?

(თამაზ ბუნტური, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის III კურსის სტუდენტი).

მეხიკოში 1978 წ. აგვისტოში. მაშინ პირველად გამოვედი მსოფლიოს ჩემპიონატის დიდ ხალიჩაზე, გამოცდილებაც ნაკლები მქონდა. იმ ტურნირში 5 სუფთა გამარჯვება მოვიპოვე, 2 კი ქულებით მოვიგე. ვძლიე ისეთ ფალავნებს, როგორებიც არიან: უნგრელი რაცი, ბულგარელი ბორისოვი, ბერძენი ხოლიდისი... ფინალში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, რუმინელ ჯინგას შევხვდი. ორთაბრძოლაში, როგორც იტყვიან, „ქულა ქულაში" მიდიოდა — 7:7 იყო. ფრე მეტოქეს აძლევდა ხელს, რადგან პირველი ტექნიკური ქულა მან აიღო. შეხვედრის დამთავრებამდე 5 წამით ადრე მეტოქეს მომგებიანი ილეთი ჩავუტარე და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. სხვათაშორის, რაცის ოსლოს ჩემპიონატზეც შევხვდი, ამჯერად ნახევარფინალში, რომელიც 3 წუთში მოვიგე.

2. საქართველოში უფრო პოპულარულია თავისუფალი სტილის ჭიდაობა, თქვენ კი „კლასიკოსობა" ირჩიეთ. რატომ?

(ალექსანდრე ტურიაშვილი, ქარელის რაიონის სოფელ მოხისის საშუალო სკოლის მასწავლებელი).

— მუდამ მხიბლავდა გივი კარტოზიას ჭიდაობა, რომელიც მე, სამწუხაროდ, მხოლოდ კინოფირზე მინახავს ჩვენს ფალავანთა კლუბში. ძალიან მომწონდა რომან რურუა, რომელიც ყველა დროის საუკეთესო „კლასიკოსად" მიმაჩნია. 1976 წელს, როცა საკავშირო ნაკრებში შემიყვანეს, მწვრთნელები მოფერებით „ახალ რურუას" მეძახდნენ. პირველი ნაბიჯები ჩემს მშობლიურ მახარაძეში, სწორედ კლასიკური სტილის სექციაში გადავდგი გულმოდგინე მწვრთნელის მიხეილ თავართქილაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც შემაყვარა ჭიდაობა. მიმაჩნია, რომ კლასიკური ჭიდაობა ყველაზე ლამაზია, ყველაზე ტექნიკური, მასში პასიურ ბრძოლას იშვიათად მიმართავენ.

3. სად სწავლობთ ან მუშაობთ, რა პროფესიისა ხართ?

(თამაზ რაჭველიშვილი, თბილისის 62-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე).

— დავამთავრე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტი, ახლა კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ვარ. ვმუშაობ რესპუბლიკის პროკურატურაში შტატგარეშე ინსტრუქტორად, რაც ჩემთვის საკმაოდ კარგი პრაქტიკაა.

4. თუ ისურვებდით დიდ სპორტში ბლაგიძეების დინასტიის გაგრძელებას?

(იური ჯერენაშვილი. სამხედრო მოსამსახურე).

— ჯერჯერობით შვილი არა მყავს. მაგრამ ძალიან მიხარია, რომ ჩემს ძმისშვილებსაც — 18 წლის რამაზს და 13 წლის გოჩას ჭიდაობა უყვართ. რამაზი მახარაძის რაიონის ჩემპიონია, გოჩა კი პრიზიორი.

5. მოსკოვის ოლიმპიადის ფინალში უნგრელ რაცისთან გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტები დაგდევდნენ ინტერვიუს ასაღებად, მაგრამ, როგორც პრესაში წერდნენ, „ბლაგიძე თვალსა და ხელს შუა გაქრა". თუ საიდუმლოება არ არის, სად იყო ახლადდაბადებული ოლიმპიური ჩემპიონი იმ წუთებში?

(თამაზ ყალაბეგაშვილი, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის «მკინძავი).

— ...შურდულივით გავვარდი იქვე მოთავსებულ საქალაქთაშორისო სატელეფონო პუნქტში, რათა გამეხარებინა დედა და ძმები — ზაური და გივი. იქვე დეპეშაც მივუყოლე მახარაძეში. თურმე ამ დროს ჟურნალისტები მეძებდნენ ინტერვიუს ასაღებად...

საუბარი ჩაიწერა ო. ნოზაძემ.

---

## წაუგებლად...

გასულ სპორტულ სეზონში ბრწყინვალედ იასპარეზა მიხეილ ხალაძემ (100 კგ, კლასიკური ჭიდაობა). ჩვენი ფალავანი ჯერ სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა, გაიმარჯვა მსოფლიო უნივერსიადაში, ხამიოდე თვის წინ შესანიშნავად გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონატში და ოქროს მედალი მოიპოვა, ახლახანს კი მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში მ. ხალაძეს არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

● 1981 წელი, შეიძლება ითქვას, ბედნიერი გამოდგა თქვენთვის. რომელ გამარჯვებას გამოყოფდით განსაკუთრებით?

— გასული სპორტული სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, რომელიც ოსლოში გაიმართა. საბჭოთა ნაკრებმა ბრწყინვალედ იასპარეზა და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა. ჩვენი გუნდის 7 წევრი ჩემპიონი გახდა. მე პირველად გამოვდიოდი ასეთი რანგის შეჯიბრებაში და ძალიან მინდოდა ეს დიდი ნდობა გამემართლებინა.

● მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიებს ხომ არ გაიხსენებდით?

— ვგრძნობდი, რომ კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი. უნივერსიადაში გამარჯვებამ მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლის რწმენა ჩამინერგა, თუმცა ოსლოში გაცილებით ძლიერი მეტოქეები მყავდა. პირველ წრეში ამერიკელ გიბსონს შევხვდი. ამ მოჭიდავეს ყველანი ოქროს მედლის მთავარ პრეტენდენტად ასახელებდნენ — ადგილობრივი გაზეთები მისი სურათებით იყო აჭრელებული: გიბსონი ფიზიკურად ძლიერია, ამასთან მოქნილიცაა და არც ტექნიკა აკლია. როგორც კი მსაჯმა სასტვენი მისცა, აქტიურად შემომიტია, მაგრამ კისრულზე დავიჭირე და 2 ქულა ავართვი, მეორე წუთზე კი წმინდად დავამარცხე. შემდეგ ქულებით მოვუგე იუგოსლაველ ტერცერს და იაპონელ ფუიუტას. ქვეჯგუფში ბოლო შეხვედრა კუბელ რენესთან მქონდა. პირველი წუთებიდანვე რამდენიმე ქულა მოვაგროვე და დავწინაურდი, მეტოქე პასიურობდა და მეორე პერიოდში მსაჯებმა მოხსნეს.

ფინალური შეჯიბრების დღეს საოცარი ამბები ხდებოდა: ჩვენმა ექვსივე ფინალისტმა გაიმარჯვა და ჩემპიონი გახდა. განსაკუთრებით გამახარა ბლაგიძის წარმატებამ. ვახტანგმა დამაჯერებლად მოიგო ყველა შეხვედრა. ალბათ გამიგებთ: მარცხის უფლება არც მე მქონდა. ფინალში უნგრელ კასპარს შევხვდი. ჩვენი ორთაბრძოლა ყველაზე ხანმოკლე გამოდგა. პირველივე წუთებზე ჩოქბჯენში გადავიყვანე მეტოქე, ხიდზე დავაყენე და წმინდად დავამარცხე.

● მსოფლიო თასის გათამაშებაზე რას იტყვით?

— საბჭოთა კავშირის ნაკრებმა აქაც დაამტკიცა, რომ ბადალი არა ჰყავს პლანეტაზე. ჩვენმა გუნდმა დიდი უპირატესობით დაამარცხა ყველა მეტოქე და საპატიო პრიზს დაეუფლა. ნაკრებში ამჯერადაც ორი ქართველი ვიყავით — გურამ მაჭარაშვილი და მე. ეს იყო სპორტული სეზონის დასკვნითი შეჯიბრება და არც აქ შევვირცხვენია თავი. ვიცი, საქართველოში ჭიდაობას უთვალავი გულშემატკივარი ჰყავს და ბედნიერი ვარ, რომ შევძელი მათი იმედების გამართლება.

საუბარი ჩაიწერა ბ. ელგუჯაურმა.



**რუსთავში** გაიმართა წლის ერთ-ერთი უკანასკნელი სპორტული ასპარეზობა — საქართველოს თასის გათამაშება და ჯგუფური ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში.

* * *

**სურათზე:** ჯგუფურ ვარჯიშში გამარჯვებული თბილისის განათლების სამმართველოს აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალიზებული სპორტსკოლის გუნდი.

ჯ. კახრაძის ფოტო.

(შეჯიბრების ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში).

# პანორამა

## ● ბალახის ჰოკეი

**ინდოეთის** ქალაქ ბომბეიში გრძელდება ვაჟთა V მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში. მეორე დღეს კიდევ 5 მატჩი გაიმართა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა პაკისტანის გუნდმა მოუგო არგენტინელებს — 6:1, ახალზელანდიელებმა — ესპანელებს — 2:0, გფრ-ის სპორტსმენებმა სძლიეს პოლონელებს — 5:3, ჰოლანდიელებმა — ინგლისელებს — 6:2, ავსტრალიელებმა — სსრ კავშირის გუნდს — 3:2.

## ● ძალოსნობა

**ლიპეცკში** დამთავრდა ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრება სსრ კავშირის მრავალგზის რეკორდსმენ ი. სპარეს პრიზზე. შეჯიბრების ბოლო დღეს თავი გამოიჩინა 17 წლის ულიანოვსკელმა გოლიათმა ა. დიაკონოვმა (100 კილოგრამს ზევით წონითი კატეგორია). მან აჰკრა 200 კგ და ორჭიდში 350 კგ დააგროვა.

## ● ბიატლონი

**სსრ კავშირის** პირველმა ნაკრებმა მოიგო კიროვო-ჩეპეცკში გამართული ბიატლონისტთა საკავშირო შეჯიბრება ესტაფეტაში 4X7,5 კმ — 1:40.40. 20 კილომეტრზე რბოლაში პირველი იყო მინსკის დინამოელი ვ. სემიონოვი — 1:07.21. 10 კილომეტრზე გაიმარჯვა პერმელმა ვ. ალიკინმა — 31.03. იუნიორებში უძლიერესის სახელი მოიპოვეს: 15 კმ-ზე — ნოვოსიბირსკის არმიელმა ს. ბულიგინმა — 52.17, ხოლო 10 კმ-ზე — მისმა თანაგუნდელმა ა. ნეპომნიაშჩიმ — 32.37.



ზამთრის არდადეგების დღეებში

●

# არა მხოლოდ საახალწლო ნაძვისხესთან

**ჩვენს** ბავშვებს სპორტის სასახლეში, ფილარმონიაში თუ სხვაგან დიდი და ლამაზი საახალწლო ნაძვისხე ელით, ელით ყველასათვის საყვარელი თოვლის პაპა, რომელსაც საახალწლო საჩუქრებით სავსე ხურჯინი გადაუკიდია მხარზე.

მოლოდინშია ფასანაურის ტურისტული სასტუმროც, რომელიც დედებსა და ბავშვებს გაუღებს კარებს. ზოგმა უკვე მიაშურა ბაკურიანს და კოხტაგორაზე სრიალებს თხილამურებით. მეორენი ახლა ამზადებენ თხილამურებსა და ციგებს. მაგრამ ზამთრის არდადეგები მხოლოდ საახალწლო ნაძვისხე, თოვლის პაპა და თხილამურები როდია.

არდადეგების დღეებში თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მრავალი საინტერესო ღონისძიება დაგეგმა. მათ შორის საინტერესოა **სპორტული ოჯახების ასპარეზობა ცურვაში**, რომელიც „შრომითი რეზერვების“ აუზში 16 იანვარს გაიმართება. 5–6 იანვარს 26 კომისრების რაიონის სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდება შეჯიბრება ბადმინტონში — **„დედა, მამა და მე“**. ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი უმასპინძლებს საოჯახო სპარტაკიადის — **„მთელი ოჯახი სტარტზე“** საქალაქო ფინალურ შეხვედრებს. ამავე დარბაზში 11 იანვარს კრივის მოყვარულთ **„ღია რინგი“** მოუხმობთ. იქვე გაიმართება ასპარეზობა — **„ვინ უკეთ, ვინ სწრაფად“**. დაგეგმილია შეჯიბრებები მინი-ფეხბურთში, ხელბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში და სხვა.

ერთი სიტყვით, მოსწავლეებს ზამთრის არდადეგების დღეებში სისხლსავსე, საინტერესო და დასამახსოვრებელი სპორტული ღონისძიებები ელით.

# გაინტერესებთ, რა ძალით თამაშობთ?

**ბევრ** მოყვარულს, რომელიც ოდესღაც ტურნირებში მონაწილეობდა და დღეს სხვადასხვა მიზეზით მოკლებულია ამ სიამოვნებას, აინტერესებს ახლა რომელი თანრიგოსნის ძალით თამაშობს ჭადრაკს. ამის დადგენა შეიძლება საჭადრაკო ნაწარმოებების ამოხსნის სიჩქარითაც.

კომპოზიციების ამომხსნელთა მსოფლიო პირველობაში სამი ამოცანის ამოხსნაზე რეგლამენტით 20 წუთს იძლევიან. ეს საკმარისი დროა პირველთანრიგოსნისთვის, რომ სწორ გადაწყვეტას მიაგნოს. რა თქმა უნდა, ამოცანის სირთულესაც გააჩნია.

ჩვენ შევარჩიეთ არცთუ ისე ძნელი სამი ორსვლიანი ამოცანა, რომელთაც გთავაზობთ ამოსახსნელად. ვინც დროში (20 წუთი) ჩაეტევა, შეუძლია თავი პირველთანრიგოსან მოჭადრაკედ ჩათვალოს, ვინც მხოლოდ ორ ამოცანას ამოხსნის — მეორეთანრიგოსან მოჭადრაკედ. კარგია თუ ამოცანებს პირდაპირ დიაგრამაზე ამოხსნით, ანდა დაფაზე ფიგურების გადაუადგილებლად.

ამ ამოცანების ამოხსნებს „ლელოს“ 5 იანვრის ნომერში გამოვაქვეყნებთ.

გისურვებთ წარმატებას!







შამათი ორ სვლაში

### სერიოზულად დაფიქრდნენ

**რა** მოვუხერხოთ სისწრაფეს? ამ საკითხმა სერიოზულად დააფიქრა ორგანიზატორები იმ პოპულარული ტრადიციული საახალწლო შეჯიბრებისა, რომელიც ყოველწლიურად ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს ქუჩებში ეწყობა. შეჯიბრება „კორიდა სან-სილვესტრე“ ძველი წლის დასასრულს იწყება და ახალ წელს მთავრდება, მაგრამ რადგან სტაიერთა შედეგები ძალზე ამაღლდა, შეიქმნა იმის საშიშროება, რომ ადრინდებულად დაწყებული რბენა შესაძლოა ახალი წლის დაწყებამდე დასრულდეს.

### მოულოდნელი სტიმულატორები

**საფრანგეთის** ქალაქ ლა-როშელის ველოსიპედისტები, როცა მორიგ ვარჯიშზე მიდიოდნენ, სულაც არ ფიქრობდნენ რომ მაქსიმალური სისწრაფის განვითარება დასჭირდებოდათ, მაგრამ ქალაქიდან 15 კილომეტრის გავლის შემდეგ იძულებულნი გახდნენ მთელი ძალით აემუშავებინათ სატერფულები. საქმე იმაშია, რომ მოულოდნელად მათ აედევნა გახელებულ ფუტკართა გუნდი და ველოსიპედისტებმა თავს გაქცევით უშველეს.

# ნარევი

### საინტერესო უპირატესობა

**ფრანგი** ექიმების ჯგუფი, რომელიც სპეციალურ დაკვირვებას აწარმოებდა ცაციებზე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ასეთ ადამიანებს უკეთესი რეაქცია აქვთ. ამას მედიკოსები ასე ხსნიან: სიგნალები, რომელიც ტვინში ცენტრალური ნერვული სისტემის არხებით მიდის, უფრო სწრაფად ვრცელდება მარცხენა მხარეს. ამიტომ ცაცია სპორტსმენები წამის რამდენიმე მეათასედით უფრო სწრაფად რეაგირებენ მოვლენებზე. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ჩოგბურთსა და ფარიკაობაში.

### ელექტრონული საზომი

**თეზერფალში** ჰოლმენკოლენის მოთხილამურეთა მსოფლიო პირველობაზე გამოცდიან დრეზდენის (გდრ) კომბინატ „რობოტრონის“ ელექტროსაზომს, რომელიც ტრამპლინიდან ხტომის შედეგების გასაზომად გამოიყენება. ეს იარაღი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სხვა სახეობებშიც შეიძლება გამოდგეს. იგი „ინდუქციური შლეიფის“ ბაზაზე მუშაობს და ნახევარი მეტრის სიზუსტით განსაზღვრავს მოთხილამურის მიერ შესრულებულ ყველა ცდას, ამასთან, საკმარისია 5 მსაჯის მიერ კლავიშზე თითის დაჭერა, რომ მანქანამ ავტომატურად გამოთვალოს სპორტსმენის საბოლოო შეფასება.

# სახალისო ფანქრით



— წელს ვეცდებით უფრო ლამაზად შევამკოთ...



— რა ვქნა? პარტერში უნდა ვიჭიდავოთ!

ვ. კუციას ნახატები.

# საახალწლო მინიატურები

— ამ ახალ წელს მეკვლედ ვის ინატრებ?

—რამაზ შენგელიას... კარგი ფეხი აქვს.

* * *

— რა ნომერია შენი ტელეფონი?

— ჩივაძე — გაბელია, დარასელია — ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე — გუცაევი.

— ესე იგი: 31-64-89.

● ● ●

ფეხბურთელი: ყვითელ ბარათს რად მიღებთ?

მსაჯი: მაგდენ მცველს რომ ატყუებთ!

მ. მებალიშვილი. (თბილისი).

* * *

1981 წელმა სთხოვა 1982-ს, ეს თასი შემინახე და 1983 წელს გადაეციო.

* * *

ახალო წელო, გეგმაში რა გაქვსო და... ესპანეთში საგასტროლოდ თბილისიდან „შვიდკაცა“ უნდა გავაგზავნო ახალკაცის ლოტბარობითო.

ვ. ჯანიაშვილი. (სიღნაღი).

● ● ●

— ჩვენი ფიზკულტურის ინსტრუქტორი უსიამოვნებას გადაეყარა...

— მაინც რა მოხდა?

— კოლექტივის ინტერესების დასაცავად ფიცარნაგზე გამოსულმა სამივე მსოფლიო რეკორდი მოხსნა და... ქვეყნის ნაკრებში უკრეს თავი!

მ. აბულაძე. (მაიაკოვსკი).

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 3 იანვარს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

ИНДЕКС 66435

უე 08004